

# ფიზიკური კულტურა და სპორტი — ერის სამსახურში

„ლელო“ რედაქცია ეპითხება თბილისის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომის, არაბრუნებულ-დაზარალების მთავარი სამსახურის, დედაქალაქის ქველა სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელებს:

1. აგრ უკვე 30 წელიწადია განუწყვეტლავ გაიხმის მოწოდებები საცხოვრებელ ადგილებში მოსახლეობის ფიზიკულტურულ-სპორტული მუშაობის უკეთ ორგანიზაციის აუცილებლობაზე. მიღებულია უამრავი სადირექტივო დადგენილება, რომლებიც, ცხადია, არ სრულდებოდა და არ სრულდება. ათეულწლეულით გარშემო ვუტრიალებთ ამ საკითხს, პრაქტიკულად კი არაფერი კეთდება. ეგებ ჩაიხედოთ ამ დოკუმენტებში და გვაცნობოთ რა გაკეთდა თქვენი გავლენის სფეროში და რა არა, რაც არ გაკეთდა, რატომ?

2. იყო დრო საცხოვრებელ ადგილებში მოსახლეობას შორის ფიზიკულტურულ-სპორტულ გამაჯანსაღებელი მუშაობის მოწყობის მიზნით ამართლებდნენ, რომ ადგილებზე არ იყვნენ შტატიანი მუშაკები. შემდეგ სადირექტივო ორგანოებმა ასეთი შტატი დაუშვეს როგორც სახლმშენებლობებში, ისე საბინაო ტრესტებში. ვთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენი ასეთი საშტატო ერთეულია დაშვებული და რომელი წლიდან, მუშაკთა შორის რამდენს აქვს ფიზიკულტურული განათლება, რა საქმიანობას ეწევიან ისინი? რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ბევრი ფიზიკულტურული მუშაკი არასპეციალისტია და სხვა საქმე აქვთ დაკისრებული, თავის მოვალეობას კი არ ასრულებენ...

3. თბილისის ის „ბენდიერი გამონაკლისია“, სადაც ქალაქის რეკონსტრუქციისა და განაშენიანებისას არ ითვალისწინებენ და საცხოვრებელი ბინების პარველ სართულს (არასაცხოვრებელ ფართს) არ უშვებენ მოსახლეობას ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მოზარდთა შორის სპორტული მუშაობისათვის. შეიცვლება თუ არა ეს დამოკიდებულება?

4. ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა ჩერ კიდევ დამუშავების პროცესში იყო დიდი დიდების პროექტი, „ლელო“ არაერთხელ შეახსენა არქიტექტორებს, რომ გათვალისწინებინათ მოსახლეობისათვის დადგენილი სპორტული ნორმები (ერთ სულ მოსახლეზე 120 სმ). შემდეგ კი, როცა მშენებლობა დაიწყო, ბატონ შოთა ყავლაშვილს — მაშინდელ თბილისის მთავარ არქიტექტორს ვთხოვეთ ინტერვიუ მიეცა ვაჭეთისთვის ამ საკითხთან დაკავშირებით. ბატონმა შოთამ ინტერვიუს თემა დაგვწერა და აღარ მოიხურა კორესპონდენტთან საუბარი.

დიდი დიდობის მშენებლობები ვრცელდება. მოსახლეობას სურს იცოდეს იქნება თუ არა გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინების არასაცხოვრებელი ფართი გამაჯანსაღებელი მუშაობისათვის (I სართული, სარდაფი), თუ ისე იმას მოიმიჯნებენ, რომ ის ფართი ჩერ კიდევ აუშენებულ ან მშენებარე კორპუსებში პროექტშივეა განაწილებული, ვისთვისაც გნებავთ, ოღონდ არა ფიზიკულტურულ-სპორტული მუშაობისთვის?

5. გარკვეული საჭიროა, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ გვინდა ვიკითხოთ თბილისის რთულ რელიეფთან უზუნებში, გარკვევის თავზე მაინც, თუ სხვა ფართი არ არის, რატომ უვლან არ იგეგმება სპორტული მოედნები, თუ იგივე გარკვევის თავზე მხოლოდ სხვადასხვა დამხმარე სათავსოების მოწყობა ნებადართულს? საიდან მოდეს ასეთი მითითება?

რედაქციისათვის: იმედი გვაქვს, წამოვრილ საკითხს მოსახლეობა გამოეხმაურება და მიანიშნებენ კონკრეტულ ადგილს, სადაც შეიძლება როგორც საცხოვრებელ კორპუსებში და სხვა ნაგებობებში ფართის გამოყოფა, ისე ღია სპორტული მოედნების გაშენება.

## ლელო

საპარტიო-სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახალხო ფიზიკური კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

17 0360სი, 330რა, 1990 წ. № 112 (10 280) • შპსი 8 პაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

### მსოფლიოს XIV ჩემპიონატი ფეხბურთში

„ა“ ჯგუფი: ავსტრია — ჩეხოსლოვაკია 0:1 (0:1)  
„დ“ ჯგუფი: გერ — არ. ბს 5:1 (2:0)

## ფინალისტთა რიგები იხსება

წელ-წელად გადის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის დღეები, გლინდებიან ისინი, ვინც დღეს თუ არა ხვალ შინ უნდა გამობრუნდეს, ამავდროულად თანდათან ივსება მერვედფინალის მონაწილეთა რიგებიც. ჩემპიონატის ყოველ დღეს, ყოველ ტურს ახალ-ახალი ცნობები მოაქვს იტალიიდან.

მერვედფინალში გასვლის სერიოზული პრეტენზიები დაადასტურა ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციის ნაკრებმა, რომელსაც 15 ივნისს უმძიმესი მატჩი ჰქონდა ავსტრიის გუნდთან.

ჩეხოსლოვაკიისა და ავსტრიის გუნდები ე. წ. შუა ევროპის კლასში

სიკური ფეხბურთის ტიპური წარმომადგენლები არიან, მათ ურთიერთ მეტოქეობას ათეული და ათეული წლების ისტორია აქვს. ავსტრიელებმა კარგად იცოდნენ, რომ იტალიის ძლიერ გუნდთან პირველ ტურში განცდილი დამარცხების შემდეგ მათთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩეხოსლოვაკიელებთან პრინციპულ მატჩს, მათ თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმუმს გამოავლინეს, მაგრამ ჩეხოსლოვაკიის გუნდი ამჟამად საუკეთესო ფორმაშია, მისი გამარჯვებაც



იუგოსლავია — კოლუმბია 1:0. კოლუმბიელი კარლოს ვალდერამა (მუქი მაისურით) და იუგოსლავიელი სრეჩკო კატანეცი ბურთისთვის ბრძოლის დროს.

## წალთხილაშურები ფეხბურთში „მერ უგადუს“

მოულოდნელობანი არ მომხდარა: ახლახან კიევში გამართულ წყალმთხილაშურეთა საკავშირო ტურნირის როგორც პირად, ისე გუნდურ პირველობაში ფავორიტთა დავაში ჩარევა ვერაფერს შესძლო.

ამ ტურნირში ბელორუსიის, უკრაინის, ლიტვისა და აზერბაიჯანის ნაკრებ გუნდებთან ერთად ისპარზეზს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმაც. მათ შორის საუკეთესო იყო ფოთელი გენადი გურალია, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა სლალომში და ტრამპლინიდან სტომაში (48,3 მეტრი). მისმა თანაგუნდელმა და თანაქალაქელმა ხათუნა კორკელიამ გამოცდილ ბელორუსიელ იულია გრომიოსთან ბრძოლაში მეორე ადგილი დაიკავა მრავალკლდეში. ჩვენი გუნდის კიდევ ერთ წევრს, ასევე ფოთელ ვასილ ბუდუროვს ტრავმა აწუხებდა, მაგრამ მან მეოთხე ადგილის დაკავება მაინც შესძლო. სლალომში მეოთხე და მეხუთე ადგილებზე გავიდნენ გ. სურგულაძე და ა. ლიფთაია.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა ბელორუსიისა და უკრაინის გუნდების შემდეგ.

ბრისტან მანია, „ლელო“ საქ. კორ.



როგორც ვიუწყებოდით, თბილისში დამთავრდა კალთბურთულ ქალთა ასპარეზობა, რომელიც საქართველოს X სპარტაკიადის პროგრამით გაიმართა. სურათზე თქვენ ზედავთ სპარტაკიადის ჩემპიონს — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## ქეთევან კახიანი მსოფლიო ლიდერებს

აზოში, მოკადრეაქ ქალთა საზონათორისო ტურნირში ექვსი ტურის შემდეგ ორხელისუფლებიანობაა. დაწინაურდნენ ჩინელი ჯან ლინგენგი და ჩეხოსლოვაკიელი ელიშკა კლომოვა. მათ ჯერჯერობით 5-5 ქულა აქვთ. ლიდერთა დუეტს ქულით ჩამორჩება მოკადრეაქთა დიდი ჯგუფი, რომელშიც აიან ჩვენი თანამემამულე ქეთევან კახიანი, ბერძენი ანამარია ბოსტარი, უნგრელი ილიდიკონალი და პოლონელი აგნეშკა ბრუსტმანი.

სვეტლანა პრუდნიკოვა 3,5 ქულა დაავრდვა, ფლოურა უსკოვამ — 3, საერთაშორისო დიდოსტატს, გოგნათა შორის მსოფლიოს საბჭოს ჩემპიონს ალისა გალიამოვას მხოლოდ 2 ქულა აქვს.

ტურნირის 30 ივნისს დამთავრდება. ასე რომ მთავარი ბრძოლა ჯერ წინაა.

## ფოთი ევროპის ყურადღების ცენტრში მოექცა

როგორც მკითხველისთვის ცნობილია, წყალმთხილაშურეთა ევროპის 1991 წლის ჩემპიონატის ჩატარება დაგეგმილია საქართველოში, კერძოდ კი ფოთში.

მომავალი საერთაშორისო შეჯიბრების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად და გადასაწყვეტად წყალმთხილაშურთა სპორტის საერთაშორისო ფედერაციის მიწვევით ინგლისში იმყოფებოდნენ საქართველოს წყალსაბინაშურთა სპორტის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი რ. მელია და საქართველოს სპორტსახკომის სპორტის წყლის სახეობების განყოფილების უფროსი დ. იაშვილი.

გთავაზობთ ინტერვიუს დ. იაშვილთან.

მთავალი ბრძანებით, სიტყვიერი თანხმობა ვერაფერითი საბუთია. ჩვენ უფლებამოსილი ვიყავით დავგველო ოფიციალური ხელშეკრულება საერთაშორისო ფედერაციისათვის ინგლისში შედგა კიდევ ასეთი დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერენ თბილისში და რომან მელია.

ამ ხელშეკრულების თანხმად, ფოთი იღებს ვალდებულებას მონაწილეობა და სტუმართა დაბინავებაზე, კვებაზე, სპორტული ღონისძიების მართვას და რეგულაციებზე, ტელეტრანსლაციისთვის საჭირო პირობების შექმნაზე და სხვა; ფირმა

ფირმა „სუბრას“ პრეზიდენტს ჯორჯ ფოვლერს.

მასპინძლები გამოთქვამდნენ ექვს, რომ სპორტულ საშუალებას იხე ნაკლებად ცნობილი ქალაქი, როგორც ფოთია, შეძლებდა ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობას. ჩვენი ვიზიტის მთავარი მიზანი კი სწორედ ფოთის შესაძლებლობებში მათი დარწმუნება გახლდათ.

როგორ გგონიათ, მიაღწევთ მიზანს?

— დიან, ჩვენ შევძელით საერთაშორისო ფედერაციის თანხმობის მოპოვება. უნდა აღინიშნოს, რომ ამის მისაღწევად დიდი როლი ითამაშა იმან, რომ ფოთს გააჩნია საკუთარი საზღვაო პორტი, სადაც გემებით ჩამოტანდნენ „სუბრას“ კატარებს და ტექნიკურ მოწყობილობებს. არც ეს გახლდათ უმნიშვნელო არგუმენტი, რომ ევროპის ჩემპიონები ხათუნა კორკელია და გენადი გურალია ფოთის მკვიდრნი არიან.

ის, რომ საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობა დაარწმუნეთ ფოთის შესაძლებლობებში, ძალიან კარგია, მაგრამ, შეიძლება, ეს ჩაითვალოს საბოლოო გადაწყვეტილებად ფოთის სასარგებლოდ?

— მართალი ბრძანებით, სიტყვიერი თანხმობა ვერაფერითი საბუთია. ჩვენ უფლებამოსილი ვიყავით დავგველო ოფიციალური ხელშეკრულება საერთაშორისო ფედერაციისათვის ინგლისში შედგა კიდევ ასეთი დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერენ თბილისში და რომან მელია.

ამ ხელშეკრულების თანხმად, ფოთი იღებს ვალდებულებას მონაწილეობა და სტუმართა დაბინავებაზე, კვებაზე, სპორტული ღონისძიების მართვას და რეგულაციებზე, ტელეტრანსლაციისთვის საჭირო პირობების შექმნაზე და სხვა; ფირმა

„სუბრა“ კი პასუხისმგებლობას იღებს ჩემპიონატის ტექნიკურ მომსახურებაზე, სპორტსმენთა აღჭურვილობაზე. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ, საქართველოს, როგორც მასპინძელ ქვეყანას, საკმაოდ შეღავათიან ფასებში მიყიდნენ ნავებს, თხილამურებს, სპორტულ აღჭურვილობას.

გკონდათ თუ არა საუბარი საქართველოს წყალმთხილაშურების ფედერაციის ხაერთაშორისო ფედერაციაში დამოუკიდებლად გაწევრიანების შესახებ?

— ამ საქმესაც კარგი პირი უჩანს, მაგრამ, მოდით, ნუ ვიჭიკრებთ, ბევრი რამ იმაზეც იქნება დამოკიდებული, როგორ ჩავატარებთ ევროპის ჩემპიონატს, ასე რომ, ამ საკითხს კიდევ დავუბრუნდებით.

ესაუბრა ბაპარ ბაჩანიძემ.

საქართველოს XXIII ჩაგვიონაბი რაგბიში



ფილიპი. სხა-ს სტადიონი. 12 იანვარი.

„შეგარდენი“ (თბილისი) — „მიმინო“ (თბილისი) 9:20 (9:6). გუნდების შემადგენელი სპორტისტები ბედი ამ თამაშამდეც გარკვეული იყო. ამიტომაც, მათ ქულებზე მეტად თამაშის სანაპირზე მხარეს მიაქციეს ყურადღება. თავდაპირველად „შეგარდენმა“ შეუძლო თავიანთი მოთამაშე-მწვრთნელის — რ. სანგულიძის მაგალითით წაქეზებულმა სტუდენტმა მორაგბეებმა, საფრთხე შეუქმნეს მეტოქეს. მორაგბეებმა მეტოქის მიმართ ინდივიდუალური გარდგევა დასარულა ლელოთი, რომელიც გარდასახა ნ. იურიშვილმა. მანვე ცოცხალი სიარულით გატანა უფრო დააწინაურა გუნდი. „მიმინო“ ამ დროს მხოლოდ თავს იცავდა და მეტოქეს ეპიზოდურად იერიშებით თუ „შეასვენებდა“ ხოლმე თავს. შემდეგ მიმინოელთა თამაშმა მწყობრი ხასიათი მიიღო. მიულო ძალით ამოქმედდა ნახევარდაცვა (ჯანვლიძე, ძნელიძე), რომელიც უზრუნველყო კავშირი შერკი-

ნებასა და უნაზ ხაზს შორის. ტაიმის მიწურულს ძნელიძემ ეფექტურად ჩართულ შეტევაში გარემარბი დვალი, რომელიც ლელო გაიტანა, გარდასახვა ზუსტად შეასრულა კავშირითავე. მეორე ნახევარში „მიმინო“ უფრო გააძლიერა შეტევები და მრავალი თავსატეხიც გაუჩინა „შეგარდენის“ დაცვას. ტაიმის შეაწყულში სულისანიშნავი ხუმერითიანი საჯარიმოდან მეტოქეებთან კიბილში გაიტანა ლელო და დააწინაურა თავისი გუნდი. ამან აშკარად იმოქმედა „შეგარდენის“ განწყობაზე და ბოლო ორი ლელო განელიძემ მასპინძელთა შეცდომების გამოყენებით გაიტანა. მას ორივეჯერ დროულად გადაწოდეს ბურთი თანაგუნდელებმა: პირველად ძნელიძემ, რომელიც მეტოქის გარე ნახევარშიცველს აართვა ბურთი, ხოლო მეორედ უმთავრესყოფილ დარჩენილმა დევიდარიანმა. ერთი ლელო გარდასახა კავშირითავე.

თბილისი. ვარკეთილის სტადიონი. 18 იანვარი. „ნიმეგისტი“ (თბილისი) — „გელათი“ (ქუთაისი) 10:22 (4:8). უცნაურია, მაგრამ ფაქტია: საქართველოსა და საქავშირა ჩემპიონატების განრიგთა „წყალობით“, ქუთაისის „გელათმა“, როგორც ერთგულნი ჩემპიონატის მონაწილეები, პირველად იასპარეზა თბილისში. ამის გამო, ეს მატჩი თბილისის სარაგბო საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა. დასაწყისში ქუთაისელებმა იმარჯვეს. ჯერ ბზიკაძემ გაიტანა ლელო, სტუმართა ზორბა და საქმალე მოძინა მორაგბეებმა. კი აშკარად აჯობეს თბილისელ „კოლეგებს“. მეორე ლელოც ამის დასტური გახლდათ — ზუმბერტიანი შერკინები-

დან ქუთაისელებმა კიბილით შეიტანეს ბურთი ლელოში. მეორე და მეორე „ნიმეგისტი“ შესძლო ძალების მობილიზება: შერკინების ხაზმა, თავისი თავკაცის — ლ. მგელაძის — აქტიურობით გამხსნევებულმა, ნელ-ნელა მოაქრია ღონე და მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს. ერთი პირობა მათ ინიციატივაც იგდეს ხელთ და ტაიმის მიწურულს მარჯვნივ ლელო გაიტანა — 4:8.

ეს უპირატესობა „ნიმეგისტი“ არც მეორე ტაიმის დასაწყისში გაუშვია ხელიდან. კუმბურთიძე და გუნდში ტრავმის შემდეგ დაბრუნებული ანობაძე საჯარიმების გატანით დააწინაურეს მასპინძლები — 10:8. ცხადია, საქართველო უპირატესობის შემდგომი გამოყენება, მაგრამ თბილისელებმა ეს ვეღარ მოახერხეს. „გელათი“ კი პირიქით, თითქოს ამას ელოდა, საგრძნობლად გააქტიურდა. თავი იჩინა მისი მოთამაშეების კარგმა ფიზიკურმა მომზადებამ. მათ ისარგებლეს უნივერსიტეტულ-თა დროებით და თხუთმეტობილურ წუთში სამი ლელო გაიტანეს: ჯერ მორკინალი ჩიტიანი კარგად ჩაერთო სამხეთთხედელთა მიერ გათამაშებულ „მარაოში“, შემდეგ გორგაძემ დაასრულა შერკინების კოლექტიური შეტევა, ბოლოს კი, თბილისელებმა ვერაფრით მოახერხეს ლიკლეკაძის ინდივიდუალური გარდგევის შეჩერება. ერთი ლელო გარდასახა თედოშვილმა. 11 იანვარს სსი-ს სტადიონზე „აკადემიამ“ უმასპინძლა სტუ-ს და დაამარცხა ანგარიშით 4:3. მატჩის დროს მონა დაღვრევი, რომლებზეც იმსჯელებს საქართველოს რაგბის კავშირი. მიღებული ზომების შესახებ მოგვიანებით გაეცნობებით.

მარბა რაგბიშილი.



„ნიმეგია“ (ხაზარია) — „გურია“ (ლანჩხუთი) 0:4 (0:2).

გორი. ცენტრალური სტადიონი. 15 იანვარი.

„ნიმეგია“: მურადაშვილი, ჯანგურიძე, ცხოვერვაშვილი, ამბიძე, ლაცაბიძე, ხარაზიშვილი (ქიქოძე), აბაშაძე (მალაქიძე), პოხოიანი, თევზაძე, მღვდელიძე, ტიციანიძე.

„გურია“: ქანთარია, ტყეშელაშვილი, დანელია, მთევრია, ცომაია, ბაკურაძე (კახიანი), ფრიდრიკაძე, კორღალიძე, ფრიდონაშვილი (მეჩაბერიძე), უგრელიძე.

მხატვარი: ა. მილჩენკო (სოხუმი), რ. ვერულაშვილი, ლ. ჩიტაია (ორივე — თბილისი).

კომისიარული წევრის გამო გორის ცენტრალური სტადიონზე გულმემატიკითა სიმცირე იგრძნობოდა. ტრენდმა ფაქტურად ვარიეტობის უნებურად წინაშე მოუხდათ გამოსვლა. თამაში „გურიას“ გამუდმებულ შეტევებით დაიწყო. მეორე წუთზე უგრელიძემ ისარგებლა მეტოქის მცველთა დაბნეულობით და გასწავა ანგარიში. შემდეგ ხაზურელები ცდილობდნენ შეეღწიათ სტუმართა საჯარიმოში, მაგრამ „გურიას“ მეტად მობილიზებულ დაცვას ვერაფერი მოუხერხებდა, თუმცა პოზიტიური და მღვდელიძე აქტიურობდნენ. ლანჩხუთელებმა — კორღალიძემ, ტყეშელაშვილმა, ბაკურაძემ კიდევ რამდენიმე იერიში განახორციელეს, მაგრამ შეტევის ბოლო ფაზაში ხან

მათი იარაღი იყო არაბოლო, ხან კი მანქანულთა მკვედრის ცხივრება შეიძლოს და ამბობენ დამახინჯებულ არაბულ ტაიმის მიწურულს მღვდელიძე ანგარიშიც გაიტანა. ქუთაისელებმა კი ტყეშელაშვილის წამოწყობული შეტევა გოლით დაავსოვეს ფრიდონაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ მატჩს იგებდნენ, ლანჩხუთელები ბოლომდე იბრძოდნენ და მეორე ტაიმში არაერთი სანაპირი მდგომარეობა შექმნეს მეტოქის კართან. თამაშის 58-ე წუთზე ტყეშელაშვილი გოლი მანძილიდან დარტყმული ბურთით ქუთაისელებს გაიტანა. აქვე აღმოჩნდა ფრიდონაშვილი, რომელიც ანგარიში სამამლე გაზარდა. სტუმართა რიგებში კახიანიშვილის გამოჩენამ მეტოქის სიმამლე შემატა თამაშს. შეხვედრის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე კუთხოვრიდან ჩამოწოდების შემდეგ მეტოქისგან მოგერიებულ ბურთის აღწევს დასვლა მიქაბერიძემ და მშვენივრად გამოიყენა ანგარიშის გაზრდის რეალური შესაძლებლობა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მასპინძლებმა შეხვედრის შემდეგ მადლობა გადაუხადეს ლანჩხუთელებს ლამაზი თამაშისათვის. მთავარმა არბიტრმა ა. მილჩენკომ კი სინანულით აღნიშნა, რომ თამაშს მაყურებელი არ ჰყავდა. ხაზურის გუნდი ნეიტრალურ მინდორზე თამაშობს და რომცა მატჩი ხაზურთან ასე ახლოს იმართება, „ივერიას“ გულშემოტკივრები არ უნდა დააყლენ.

იხსნა ჩაგვიონაბი. „ლელო“ სხეც კორ.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'ნიმეგია', 'გურია', 'საბურთალო' etc.

სურვა... მილიციის თანხლებით?!

რას არ ნახავ ადამიანი, რა უცნაურობას არ წააწყდები, მაგრამ თბილისის ცენტრალურ საწყობს-საპორტულ კომპლექსში სრული წესრიგის დასამყარებლად თუ ნაგავიანი მილიციონერები იქნებოდნენ საჭირო, ამის წარმოდგენას, მართლაც, მოკარბებული ფანტაზია სჭირდება. არადა, მოგეს-სენებათ, უმიზეზოდ არაფერი ხდება. სწორედ ამ მიზეზებზე გვესაუბრება კომპლექსის დირექტორი ვლადიმერ გოიაშვილი. რამ გამოიწვია მილიციის თანამშრომელთა მორიგეობა აუზზე? — რამ და საერთო დაუდევრობამ, უპატრეცემლობამ ერთმანეთის შრომისადმი, ჩვენი საერთო ქონებისადმი. თბილისში სულ თითქმის ჩამოსათვლელი აუზი გვაქვს, მაგრამ მაინც ვცდილობთ, მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ ცურვის შესწავლის მსურველები. შარტო ჯანმრთელობის ჭკუფებში 35მმ კაცია გაერთიანებული, ამასთანავე, როცა ჩვენი სპორტული კოლექტივები შეკრებებზე და შეჯიბრებებზე მიდიან და აუზი განიტვირთება, მაშინვე ვაცხადებთ დამატებითი ჭკუფების გასწავის თაბაზე. ასე რომ, უკმაყოფილო არავინ უნდა იყოს. მაგრამ საზოგადოების ნაწილი, ძირითადად ახალგაზრდობა, ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ ხელი შეგვიძლოს მუშაობაში. უკმაყოფილო დღეებში, განსაკუთრებით საღამოს და ღამის საათებში, რამდენიმე ინციდენტი მოხდა: ახალგაზრდები შე-

მოიპარნენ აუზის ტერიტორიაზე და გარდა იმისა, რომ ყოველგვარი პიტიონური ნორმების დაუცვად ჩავიდნენ წყალში, აუზში გადაყარეს სკამები, მადიდები, ბოთლების ანბისვრეები. არც ბუნებრივ მონაწილეობათა დაკმაყოფილებას ერიდებიან წყალში... გაზონები და მშვენიერ ნარგავებიც არაერთხელ გადათოვლეს და გააოხრეს. რამდენიმე დღის წინ, ღამის სამ საათზე, 15-16 წლის გოგო-ბიჭები გადმოიპარნენ. მათაც იგივე მოიმოქმედეს, რაც უკვე გითხარით, და აქვლან „სტიქიისთან“ ერთად, შუალამისას მწვადის შეწვა მოინდომეს. გემოვნება ვერ დაეწუშებინა, მაგრამ სულ უნდა შეწვა მწვადი და როდის, ეს უნდა იცოდეთ. მით უმეტეს, როგორ დაამტკიცეს, რომ შეშად გამოეყენებინათ. ჩვენი დარჩენის გონივრული მოქმედების შედეგად აღიკვეთა მათი უხამსი საქციელი. არ მინდა ვინმეს გული ვატკინო, მაგრამ მინდა ვიკითხო, არა ჰყავს ამ ხალხს პატრონი? ყველაფერთან ერთად კი, გამოიცხადო არ არის, განმეორდეს ის უხედურება, რაც ამ ერთი თვის წინ დატრიალდა თბილისში, საირობის ქუჩაზე მდებარე საწყობსო კომპლექსზე, რომლის აუზშიც 8 წლის ბავშვი დაიხრბო. არ ვიცი ყველა დეტალი და გარემოება ამ ფაქტთან დაკავშირებით, მაგრამ ის ვიცი, რომ 9 მაისს აუზი არ მუშაობდა. აი, ამ მიზეზებმა გვაიძულა მიგვეპარათა რესპუბლიკური არასაუწყებო დაცვის სამმართველოს უფროს გივი ყვარელაშვილისთვის,

რომელმაც ყურად იღო ჩვენი თხოვნა და კოლინის რაიონის არასაუწყებო დაცვის თანამშრომლები ყოველდღიურად მორიგობენ ჩვენს აუზზე, სხვათა შორის, ძალით. ეს კონკრეტული ფაქტებია, მაგრამ ალბათ სხვა ვლადიკორი მიზეზებიც განაპირობებენ ახალგაზრდების „თავდასხმას“ აუზზე? — ჯერ დავაკონკრეტოთ. მართლაც, ახალგაზრდობთან არა გვაქვს საქმე. ერთ-ერთი „ღამეული სტუმარი“ ცოლთან და 7 წლის შვილთან ერთად გვეწვია. ისე, ვიდრე დავაკმაყოფილებთ აუზების დეფიციტით გამოწვეულ „წყლის მიმწილს“, მაქსიმალურად გამოვიყენოთ თბილისის გარშემო მდებარე ტბები (ლოსის ტბა, კუს ტბა), არ არის აუცილებელი დიდი სპორტული ბაზების აშენება. ვაშენოთ მარტივი ტიპის, არასპორტული აუზები, ოღონდ თბილისელ ცურვის მოყვარულთა გაზრდილი მოთხოვნისა და დაკმაყოფილოთ. უნდა დავეთანხმოდ დირექტორს. მართლაც, საკუთარი დაუდევრობითა და დაუფიქრებლობით არა ერთი უხედურება დატრიალებულა ჩვენს თავს. თუ მაინცდამაინც ცენტრალური საწყობსო კომპლექსის აუზში გვინდა გაგრძელება ან ცურვის შესწავლა, ამისათვის არსებობს საბუნებრივად ჭკუფები, სადაც შეგიძლიათ ჩაეწიროთ. ამით არც თქვენ დარჩებით უკმაყოფილონი და არც კომპლექსის დირექტორი.

ლევან ჯანაშიაშვილი.

„ლელო“ საკითხი დახვა

სასაქონლო ნაგავი — გააგანსაღებელ კორპორაციები. ვალს პირველად გადაიდა მისასაღებელი ნაბიჯი — ადრე თუ დიდი სპორტისთვის უვარგისი ცხენები ჩვენი საცხენოსნო ბაზები ჩამოწყურის აქტის შედეგად. შემდეგ ზოოპარკში აგზავნიდნენ მხეცებისთვის სახორცედ, ახლა ბუნების ამ

მშვენიერ არსებას ასეთი სასაქონლო აღარ ემუქრება. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს სპორტსახოგმა უკვე მოგვცა იმის კარგი მაგალითი, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ სპორტში ვალმობილი მერნები. „ლელო“ მკითხველებს ალბათ ახსოვთ:

ამას წინათ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა თხოვნა იმის თაობაზე, რომ რესპუბლიკის სპორტსახოგის თბილისის საცხენოსნო ბაზის ორი ჩამოსაწყერი ცხენი გამაქანსაღებელ კორპორაცივ „მუსტანგს“ გადაეცემოდა რაიონთადაც მონაზრდების სამკურნალო. საქართველოს სპორტსახოგმა გაითვალისწინა ეს თხოვნა. კარგი იქნება თუ მხედრები და მეჯინებები მომავალშიც არ გააციუნდნენ გულსიტყვილობით და სინანულით თავიანთ საყვარელ მერნებს სასაქონლოდ.

სხეც კუხანიშია

I ჯგუფი

ბაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგე ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის: „არბაზი“ (მცხეთა) — „ჩიხურა“ (სახეურა) 1:3, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „სიონი“ (ბოლისი) 2:2, „დურუჯი“ (ყვარელი) — „მარგეთი“ (ზესტაფონი) 1:3, „ალაზანი“ (გურჯაანი)

გათამაშების სხრილი

Table with 2 columns: Match Name and Score. Includes matches like 'მარგეთი' vs 'ზესტაფონი', 'ალაზანი' vs 'გურჯაანი' etc.

ფიზკულტურის ინსტიტუტი

(თბილისი) 3:2, „საბურთალო“ (თერჯოლა) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:0, „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „სტური“ (წაღნეხისა) 2:1, „იმერეთი“ (ხონი) — „სულორი“ (ვანი) 1:2, „შუქურა“ (ქობულეთი) — „სინარული-90“ (გაგრა) 1:1, „ბანტრიონი“ (ანბეგა) — „არაგვი“ (დუშეთი) 1:1, „კახეთი“ (თელავი) — „მარაოელი“ (ჭიათურა) 2:1.

ის, რაც ადრე

გვეხამუშებოდა...

მიუხედავად ბევრი წინააღმდეგობისა, ქალთა ფეხბურთი მაინც იკიდებს ფეხს ჩვენში, უცხოეთში კი კარგა ხანია იმართება ეროვნული ჩემპიონატები ქალთა გუნდებს შორის. საქართველოში ფეხბურთის პირველი გუნდი ჩამოყალიბდა რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს ბაზაზე. გუნდს „ივერია“ უწოდდა და ავტო უკვე მერაბენი წელი ივერიელები თოვანთა წარმადებებითა და ლამაზი თამაშით ახარებენ გულშემოტკივრებს. ამ დღეებში ჩვენში იმყოფებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ქალთა ოლმანის ეტრის კოლეჯის ქალთა საფეხბურთო გუნდი. პირველ მატჩში თბილისელებმა ანგარიშით 1:0 სძლიეს ამერიკელ გოგონებს. ეს შეხვედრა თბილისში გაიმართა. მეორე მატჩი, რომელიც

ხოზის ცენტრალური სტადიონზე შედგა, ამერიკელთა უპირატესობით წარიმართა და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 2:0. გოლები გაიტანეს შერი პეარეზამ და კოტნი დარესმა. მართალია, „ივერია“ დამარცხდა, მაგრამ ჩვენმა გოგონებმა ლამაზი ფეხბურთი უჩვენეს სობელ მაყურებელს. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელთათვის დაწესებული ჭილდოები გადაეცათ ამერიკელ ქართველ ტოლს და თბილისელ მამკვალა ანზოვას. ყველაზე ტექნიკურ ფეხბურთელად აღიარეს ნანა გელაშანიანი, ხოლო გულშემოტკივართა სიმამათის პრიზი წილად ხვდებოდა ეტრის კოლს.

ნუგზარ შანია, „ლელო“ კორ.

# მსოფლიოს XIV ჩემპიონატი ფეხბურთში

## ფინალისტთა რიგები ივსება

(დასასრული)

კომენტარს არ საჭიროებს. ჩეხოსლოვაკელებმა მოიგეს ანგარიშით 1:0, ავსტრიელთა მეკარე ლინდერბერგერმა, 29-ე წუთზე, სხვა გზა რომ არა ჰქონდა, წააქცია მასთან პირისპირ გასული ხოვანეცი, მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა, დარტყმა ზუსტად შეასრულა ბილგემა. ამ გამარჯვებით ჩეხოსლოვაკელებმა გაინაღდეს მერვედფინალის საფარი, მათ ამ ეტაპზე აღარ უთამაშიათ 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ.

სა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების შეხვედრა თავისთავად მეტად საინტერესოა, მაგრამ ორივე გუნდს გარანტირებული აქვს მერვედფინალი, ამიტომაც შესაძლოა 19 ივნისის მათი შეხვედრა რომის „ოლიმპიკოს“ სტადიონზე თავისებურ „მშვიდობიან დემონსტრაციად“ იქცეს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები უფროსმა მწვრთნელმა ფრანც ბეკენბაუერმა არაბეთის გაერთიანებული საემიროების გუნდთან შეხვედრის შემდეგ მხოლოდ ესლა თქვა: „გუნდი

ბრწყინვალედ თამაშობს, ბედნიერი ვარ“.

მართლაც, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები ჩემპიონატის ერთ-ერთი აშკარა ფავორიტია, გუნდი აწყობილი მექანიზმით მოქმედებს, ფეხბურთელები საუკეთესო სპორტულ ფორმაში იმყოფებიან, მათი ტექნიკური, ტაქტიკური და ფიზიკური მომზადება საუცხოოა. გერმანელები სულ იოლად გავიდნენ მერვედფინალში. ამ მოგებულ მატჩში (5:1) ბურთები გაიტანეს რუდი ფილოლერმა (2), იურგენ კლინსმანმა, ლოტარ მათეუსმა და უევე ბაინმა. ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორი იყო პაოლ ნოსტი.

გუნდის მსოფლიო ჩემპიონატში გაიმართა კიდევ ორი შეხვედრა. ბრაზილიელებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს კოსტარის ნაკრები, ხოლო ინგლისისა და პოლანდიის გუნდების უაღრესად საინტერესო შეხვედრა გაიმართა გვიან ღამით.



გერმანია



პოლონია



ჩეხოსლოვაკია



ბრაზილი

## შეგვიხარს თუ არა ნიშნისკოპებით საშაბრი?

იტალიაში მიმდინარე მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატში საბჭოთა ნაკრების წარუმატებლობა მსოფლიო პრესის განსჯის საგანი გახდა. ყველაზე მეტად თვით საბჭოთა პრესა აქტიურად გამოხატდა. არ ამოიკითხავთ ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე — პირდაპირ მიწასთან ასწორებენ ქვეყნის ნაკრებს და მის მწვრთნელებს, ფუნქციონერებს. არ ვდავობთ, ყველა იმას იმის, რასაც იმსახურებს, მაგრამ არის თუ არა ასევე საქირისუფლო და „ლელოს“ განსასჯელი ქვეყნის ნაკრების წარუმატებლობა? რატომაც არაო, იტყვიან ერთნი, მაგრამ სხვები სხვაგვარად ფიქრობენ.

რაკი საკავშირო ფეხბურთის ფედერაციასთან კავშირი გავწყვი-

ტეთ, ახლა ჩვენი მომეტებული ინტერესი საბჭოთა ნაკრების კრახისადმი ნიშნისკოპებით საუბრის იერს იღებს, რაც, ზოგიერთის აზრით, არ გვეკადრება. დიხს, საბჭოთა ფეხბურთში მართლაც საგანგაშო ვითარებაა და გასაგებია რატომ გოლებს ცენტრალურ პრესა, ჩვენი რის გამო უნდა ვიფიქროთ? თქვენ რას იტყვიან?

## ინტერესი იტალიაში გამოვლიან

# ინგლისი

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის VI ქვეგადავი შემადგენლობის მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია, ამიტომაც ძნელია იწინასწარმეტყველო, თუ ვინ გავა გათამაშების შემდგომ ეტაპზე. ინგლისის ნაკრების მანქანებს სპეციალისტები სხვადასხვაგვარად აფასებენ. ერთნი უწინასწარმეტყველებენ გუნდს წარმატებას, მეორენი — პირიქით. არგუმენტებიც ორივე მხარეს დამაჯერებელი მოკვასს. პირველი მიაჩნია, რომ ნაკრები შემაჯდენლობა გამოცდილი და შეთამაშებულია, მასში ბევრი ვარსკვლავია, რომლებიც მზად არიან ყველაფერს გაიღონ გამარჯვებისთვის. ამის სათვლი. ილუსტრაცია ინგლისელთა შედეგები შესაჩივრ ტურნირში: ინგლისი — შვედია 0:0, ალბანეთი — ინგლისი 0:2, ინგლისი — ალბანეთი 5:0, ინგლისი — პოლონეთი 3:0, შვედია — ინგლისი 0:0, პოლონეთი — ინგლისი 0:0. ნაკრების დაცვის ხაზის მოთამაშეებისა და გამოცდილი მეკარის ბრწყინვალე სპორტულ ფორმაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ გუნდს შესაჩივრ ტურნირში არც ერთი გოლი არ გაუშვია. გარდა ამისა, ინგლისელებმა 1988 წლის 18 ივნისის შემდეგ, როდესაც დაამარცხნენ სსრ კავშირის ნაკრებთან (1:3), 17-მატჩიანი დაუმარცხებელი სერია ჩაატარეს (10 მოგება, 7 დრე).

XV მსოფლიო ჩემპიონატშიც მიიღეს მონაწილეობა.

შოტლანდიის გარდა ნაკრების შემადგენლობაში არიან: შეკარეები — კოის ვუდისი (დაიბადა 1959 წლის 14 ნოემბერს, თამაშობს შოტლანდიის „გლაზგო რინჯერსში“), დევიდ სიმენი (19.10.63, „ქუინს პარკ რინჯერსი“); მცველები — პარი სტივენსი (3.03.63, „გლაზგო რინჯერსი“, შოტლანდია), პოლ პარკერი (4.04.64, „ქუინს პარკ რინჯერსი“), დეს უოლკერი (22.11.65, „ნოტინგემ ფორესტა“), ტერი ბუტჩერი (28.12.58, „გლაზგო რინჯერსი“, შოტლანდია), მარკ რაიტი (1.08.63, „დერბი ქაუნთი“), სტიუარტ პირსი (24.04.62, „ნოტინგემ ფორესტა“), ტონი ლორი (31.12.65, „ჩელსი“); ნახევარმცველები — კოის უოლდი (14.12.60, „პარისელო“, საფრანგეთი), სტივ მაკპაპონი (20.08.61, „ლივერპული“), ბრაიან რობსონი (11.01.57, „მანჩესტერ იუნაიტედი“), სტივ ჰოჯი (25.10.62, „ნოტინგემ ფორესტა“), პოლ გესკოინი (27.06.67, „ტოტენჰემ ჰოტსპური“), ტრევორ სტივენსი (26 წლის, „გლაზგო რინჯერსი“, შოტლანდია), ნილ უედი (26 წლის, „მანჩესტერ იუნაიტედი“); თავდასხმელები —

ჯონ ბარნსი (7.11.63, „ლივერპული“), პიტერ ბერდსი (18.01.61, „ლივერპული“), დევიდ პლატი (10.06.55, „ასტონ ვილა“), პარი ლინეკერი (30.11.60, „ტოტენჰემ ჰოტსპური“), სტივ ბალი (28.03.65, „ველფორ-ჰემპთონი“).

მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე პარი ლინეკერმა საუკეთესო ბომბარდირის წოდება მოიპოვა და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ სეზონშიც უკვე 31 გოლი აქვს გატანილი, მას შანსი ეძლევა ზედოხედ მეორედ მოიპოვოს ეს საპატიო ტიტული.

ქვეგადავის მეტოქეებთან ინგლისელები ყველასთან არიან შეხვედრითი ოფიციალურ მატჩებში და დადებითი ბალანსი აქვთ:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.
იტალია	10	5	8	2	16:9
პოლონია	9	4	8	2	16:10
შვედია	1	1	0	0	4:0

მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ტურნირებში ინგლისელებმა რვაჯერ მიიღეს მონაწილეობა და ერთხელ, 1966 წელს, ლონდონში მოიპოვეს მსოფლიოს საუკეთესო გუნდის წოდება. მეოთხედფინალურ მატჩებში ინგლისის ნაკრებმა ექვსჯერ ითამაშა (1954, 1962, 1970, 1982 და 1986 წლებში).

ბრაზილი

## რამბრო

## ბრაზილიელთა უიასკო

ის საეციალისტები, რომელთაც არ სჯერათ ინგლისელთა წარმატებისა, ნაკრების უფროს მწვრთნელს ბობი რობსონს სწორედ „კონსერვატივში“ სდებენ ბრალს. მსოფლიო XIII ჩემპიონატის ნაკრებთან ამჟამად გუნდის შემადგენლობაში 9 ფეხბურთელია: შოტლანდია, ბატჩერი, სტივენსი, რობსონი, ბარნსი, ბიორდსი, ლინეკერი, უოლდი, ჰოჯი.

„ღირდა კი კარგად შეთამაშებულნი გუნდის დაცვა მხოლოდ? — ამბობს რობსონი, — მით უმეტეს, რომ დარწმუნებული ვარ დღევანდელი ინგლისის ნაკრების უპირატესობაში 1986 წლის ნაკრებთან შედარებით“.

თავად ბ. რობსონი 1982 წელს ჩაუღდა სათავეში ნაკრებს, მისი კონტრაქტი 1991 წლის ბოლომდე გასტანს.

მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონატის ასპარეზად ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ბრაზილია აირჩია. საქმე ის ვახლავთ, რომ ევროპა ორჯერ უკვე იყო ტურნირის მასპინძელი და 1950 წელს, ბუნებრივია, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს უღალბა.

მეოთხე ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ დისკუსიას, ფეხბურთის ისტორიკოსებს, მასში ინგლისის მონაწილეობა მიაჩნიათ. როგორც მტყუობა, ბრიტანეთს მობეზრდა გნაწყენებული მეთვალყურის როლში ყოფნა და საკუთარი შესაძლებლობებიც რომ გამოეცადა, უკან დაიხია.

ნასკენ მომენტში გაირკვა, რომ ბრაზილიაში ჩასვლა მხოლოდ 13 გუნდს შეეძლო (თექვსმეტის ნაცვლად). ყველაზე გულდამსაწყვეტი იყო არგენტინელთა და ფრანგების უარი, ქვეყნებისა, რომლებსაც თანამედროვე ფეხბურთის განვითარებაში საკმაოდ დიდი წვლილი ჰქონდათ შეტანილი.

ამ გარემოებამ ტურნირის პროცესში ბევრი უხერხულობა გამოი-

წვია. ასე მაგალითად, კენესიურის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მეოთხე ქვეგადავი მხოლოდ ორი გუნდი იყო — მომავალი მსოფლიო ჩემპიონი ურუგვაი და ბოლივიის ნაკლებად ძლიერი ნაკრები. სწორედ ამის გამო ურუგვაელებმა ჩემპიონატში მხოლოდ ოთხი შეხვედრა ჩაატარეს, იმ დროს, როცა მეორე ფინალისტს მოედანზე ექვსჯერ მოუხდა გამოსვლა. და მაინც, მსოფლიო-

ოს მეოთხე ჩემპიონატი, სპეციალისტთა აზრით, რეალურად ასახავდა საფეხბურთო ცხოვრების მაშინდელ სურათს.

ბრაზილიელები ღრმად იყვნენ დაჯერებული თავიანთი საყვარელი გუნდის წარმატებაში და გამარჯვებას წინასწარ ზემოებდნენ. მაგრამ ურუგვაელებმა ძლიერად ჩაატარეს ჩემპიონატის მთავარი მატჩი და შეხვედრის მეორე ნახევარში მეტოქის კარში ორი ბურთი გაიტანეს (ჯიგია, შიფინო), რასაც მასპინძლებმა მხოლოდ ერთი ბურთით უპასუხეს (ფრიაკა). ჩემპიონატის საუკეთესო სწავლები ბრაზილიელი ადემირი გახდა, მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეში გახლდათ.

ბრაზილიელებმა შინ საშინელი ფიასკო განიცადეს, რამაც გარკვეული კვალი დაამჩნია მათ გამოსვლას მსოფლიოს მომდევნო, მეხუთე ჩემპიონატში.

სურათში: 1950 წლის ჩემპიონი — ურუგვაის გუნდი. პირველი რიგში (მარცხნიდან) — ჯიგია, პერეი, მიუგუნი, შიფინო და მორანი. დგანან — ვარელა, ლოპესი, ტევერა, გამბეტა, მ. გონსალესი, მასპალი და ვ. ანდრადე.



# ახალ გუნდში

**ჩვენს** დროში ძალზე მნიშვნელოვანია მისახლეობის ფართო ფენებს შორის ფიზიკულ-ტურულ-სპორტულ და გამაჯანსაღებელ მუშაობაში ისეთი ფორმებისა და საშუალებების დანერგვა, რაც ხელშეწყობს იქნება ყველასათვის. ეს ენება ცალკეული დარგების მუშაობისასა და მთლიანად საბავშვო-სპორტული ბაზა. ერთი ასეთი ბაზა ამას წინათ გაიხსნა თბილისში ჯარბანა „გაზთაპარატის“ ტერიტორიაზე. აქ, ამ დღეებში დაიწყო ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშათა პროფკავშირების დარგობრივი სპორტკლუბი, რომელშიც მონაწილეობენ კოლექტივები: „საქტრანსგაზი“, „საქტრანსგაზნავთობა“, „ბურღვით-თერმია“, მავისტრალური ნავთობსადენების სამმართველო და ნავთობის კვლევითი ინსტიტუტი... სულ სპორტკლუბში გამომსვლელთა რიცხვზე 500-ს გადააჭარბა. შეჯიბრება ტარდება 6 სახეობაში — მინი ფეხბურთში, კურვანში, ფრენბურთში, კალათბურთში, მავიდის ჩოგბურთში, სროლაში.

სპორტკლუბი 20 ივნისამდე გაგრძელდება.


**მარიამ ბიგუაშვილი.**

## ცნობილი დაზავა

**ცნობილია** სერვანტესის გამოთქმა: „ცხოვრება — საქადრაკო პარტია“. მისი ფილოსოფიური აზრი იმაშიც ვლინდება, რომ ჯადრაკი — კაცობრიობის მიერ შექმნილ ამ გენიალურ ქმნილებას, უნარი აქვს თამაშის პროცესში ადამიანთა ცხოვრების და განცდების ბევრი ეპიზოდი თუ მაგალითი ასახოს. თვით საქადრაკო ტერმინოლოგიაც ხომ ადამიანთა მოქმედების (შეტევა, დაცვა, ჩასაფრება, გატყუება, დაბნევა, გზის გაკვლევა, გადაკეტვა და სხვ.) ამსახველ სიტყვებისგან შედგება. ორთხობროლის პერიპეტეიები, პერსონაჟთა ქცევა და საქადრაკო პარტიის მთელი დრამატურგია ყოველდღიური ცხოვრების, ისტორიული მოვლენების ანალიზებად შეიძლება წარმოვიდგინოთ.

მსოფლიოს მხატვრული ლიტერატურა და განსაკუთრებით, პოეზია, საქადრაკო ალგორითმის და პარალელების ბევრ ნიმუშს იცნობს. ხშირად ხატოვანდ წერენ საქადრაკო თემებზე მოჭარბაყვებიც და უფრო ნაოსტებიც, რომელთა შორის პირველობის პალმა დღესაც დიდოსტატ საველი ტარტაკოვერს ეკუთვნის. ასევე თავისი მდიდარი სახოვანი ლექსიკონი გააჩნია საქადრაკო პოეზიას, რომელსაც ფანტაზიის უსაზღვრო გასაქანი აქვს. იგი ზომი საქადრაკო პარტიისგან განსხვავებით ბევრ იდეას ზღაბრულ ელემენტებს ანიჭებს. პრობლემისტიკის და ეტიკეტის შემოქმედებითი სამყარო მუდამ ფართოვდება, იზრდება „თემების კულაბა“ და შესაბამისად ცხოვრების შესატყვის საკომპოზიციო ტერმინთა სიაც. გავცნოთ ერთ-ერთ მათგანს.

თ. ნოსლო, 1941



შამათი 6 სვლაში.

პოზიციის მოკლე შესწავლა ცხადყოფს, რომ შავი მეფის დამაბრუნებელი მხოლოდ კუს უგნებელუფობის შემთხვევაში შეიძლება. მაგრამ როგორ? აგრესიული პირველი სვლის 1. ეფ7! შემდეგ ირკვევა, რომ კუს წასავლელად მთავარ სასიცოცხლო დიაგონალზე მხოლოდ ერთი უჯრა რჩება: 1. ...ქ18. ფეთრები კი სწორედ ამას ულდენ — 2. ეფ7!! მეტად მოულოდნელი და ლამაზი სვლა, რომელმაც კუს, ხატოვანდ რომ ვთქვათ, „სათავაღრში“ მოამწყვდია. მის გზა აღარა აქვს, ხოლო თუ ამ მახიდან გაქცევას შეეცდება, მინც განწირულია თვითონაც და შავი მეფეც 2. ...ქ:ე7 3. ლფ1+ ეხ1 4, ლ:ე7 (აი, სად გამოჩნდა ჩამკეტე ეტლის საბასულო მსხვერპლი მოსდევს) 4. ...ეხ2 5. ლd4! (ტუგცვანგი) მფხ1 6. ლd1X.

ფიგურის მომწყვდევის ასეთ მეთოდს, როცა იგი მახეში „ნებაყოფლობით“ შედის, ხოლო შემდეგ მეტოქის მცდელობით იკეტება და კვდება, გერმანულში სათავაღრის თემა უწოდეს.

## ხელმძღვანელი ვაჟა ნიძიძე



შამათი 8 სვლაში

ამოსახნულად გთავაზობთ ამავე შინაარსის ამოცანას. მისი ავტორი ფრანგი არ გეგონათ (გვარი გერმანული პრობლემისტიკის ე. კრიგერის ფსევდონიმია). მაგრამ რადგან ფრანგებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, დავსძენთ, რომ ისინი ამ თემას „გილოტინას“ უწოდებენ!

შეეცადეთ დაფაზე მოძებნოთ ეს „სასიკვდილო მექანიზმი“ და მოგვწერეთ პასუხი, ძვირფასო მეგობრებო!

# სპორტსმენ ბრუნდება

**მეგობრებთან** დადებული სანაძლოეს პირობებში შეკრად არის გასაიდუმლოებული. ის კი ცნობილია, რომ 39 წლის ბიზნესმენი თავს ანებებს საათივით აწყობილ საქმეს, იწყებს გაძლიერებულ წვრთნას და ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით კურვანში ჩემპიონობას ამირებს. ზოგიერთმა ეს ავანტურად მიიჩნია, სხვები მიესალმნენ ამგვარ თამამ გამოწვევას.

**აშერიანის** შეერთებული შტატების კურვის ფედერაციამ იგი უყოყმანოდ ჩართო ოლიმპიური გუნდის პრეტენდენტთა სიაში. თუმცა, ეს არავის გაკვირვებია, საუბარი ხომ თვით მარკ სპიტცმა!

სპიტცი მსოფლიო კურვის ლეგენდაა. ოლიმპიად-72-ის შემდეგ მარკს უფროსობაში მერვე წელი ვაისმიულური, ოციანი წლების მრავალწლიანი ოლიმპიური ჩემპიონის სახელი უწოდეს. მაშინ მიუზენში მარკმა მანამდე ყველასგან მიუღწეველი შეძლო — ერთბაშად შეიღი(1) უმაღლესი ჯილდო მოიპოვა და ამდენივე მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მაგრამ, ვაისმიულურისგან გასხვავებით, რომელმაც კურვანში მოპოვებული რეკორდისთვის სახელტარზანის როლის განსახიერებით მოპოვებული კინოვარსკვლავის სახელიც მიუმატა, სპიტცს პოლივერსის არ მიუკითხავს. თუმცა, ამგვარი წინადადებებიც იყო. შეინახა რა მოპოვებული შედეგები ლოს-ანჯელესის ერთ-ერთი ბანკის სეიფში, მხოლოდ რამდენჯერმე გადაიღეს სარეკლამო ბუკლეტებისათვის, რის საზღაურადც საპარსო მოწყობილობის მწარმოებელი ფირმისაგან საგრძნობი თანხა მიიღო. ეს საქმარისი იყო საკუთარი საქმის — საბავშვო ტანსაცმლის წარმოების დასაწყებად. ამჟამად სპიტცი მეუღლესთან და შვილთან ერთად ბიჭინათ ლოს-ანჯელესის გარეუბანში, საკუთარ ვილაში ცხოვრობს. მისი ფირმა „ბიჩ კიდი“ აყვავებულია, თუმცა სახელ არასდროს იყენებს რეკლამისათვის. მას საიმიონებით მასპინძლობენ პრეზიდენტები, ხოლო ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით უცვლელად შედის ყველა დროის საუკეთესო ათ სპორტსმენს შორის.

თავდაპირველად მარკი კეტბურთა გაიტაცა. თუმცა, მშობლები შეეცადნენ დაერწმუნებინათ, რომ კურვა ყველა სახეობას გობია (ალ-სანიშნავია, რომ სპორტის ამ სახეობას ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველობას სხვა ვერცერთი სახეობა ვერ შეეცილება). პირველივე საწვრთნელი ვარჯიშების შემდეგ მწვრთნელებმა მოზობლებს ბიჭის მწვერვალე მომავალზე აუწყეს. ამიტომაც იყო, რომ ყველაფერი იღონეს ვაიშვილის ტალანტის გასავეითებლად. როდესაც მწვრთნელი ჯორჯ ჰენისი საცხოვრებლად სხვა ქალაქში გადავიდა, თოთხმეტი

წლის ბიჭი დედამისს უყოყმანოდ დასყვინდა 130 კილომეტრით დაშორებულ ამ ქალაქში. მოგვიანებით კი, მარკის დამრთველთან ახლოს ყოფნის მიზნით, მამამ სამსახური შეიცვალა და ოჯახში ახალ ადგილზე გადასახლდა. „ისინი სპორტის კიდევ უფრო დიდი ფანტიკოსები გახდნენ, ვიდრე მე, — იხსენებს სპიტცი. — ერთხელ მამამ მოეჩვენა, რომ მსაჯმა ვერ შენიშნა ერთ-ერთი ჩემი მეტოქის ფალსტარტი, ყურადღება არ მიაქცია თავის ასაკს და აუზის ნაპირთან მოვარდა არბიტრთან საქმის გასარკვევად“.



თვრამეტი წლის მარკი უკვე გვარიანად ძლიერი ვახლდათ იმისათვის, რომ გულშემატკივრებს ექვსი ოლიმპიური ოქროს მედლის მოპოვებას შეპირებოდა, თუმცა სამისო გამოცდილება ჯერ კიდევ არ გააჩნდა. მეხიჯოდან მხოლოდ ორი უმაღლესი ჯილდო ჩამოიტანა, რომლებიც ესტაფეტაში მოიპოვა. სრული წარმატების მაუწყებელმა ზარმა მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ, მიუნხენში ჩამოქრა. მაშინ ბატერფლაით ასი მეტრი 54,27 წამში გატურა.

„ახლა, თვრამეტი წლის შემდეგ თავისუფლად შემიძლია ამ დროის გაუმჯობესებაზე ვიფიქრო, — ამბობს დაჯერებული სპიტცი, — თუმცა, იგი ზღაპარ არ იყო, რადგან შედეგი უფრო მაღალი იქნებოდა, თუ მხოლოდ ერთ დისტანციაზე გამოვიდოდი. დარწმუნებული ვარ, ამ მაჩვენებელს ერთი, შეიძლება ორი წამითაც გავაუმჯობესებდი“.

საკმაოდ თამამი და გამოწვევი დასკვნა გახლავთ, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მისი თანამემამულის, პაბლო მორალესის მიერ დამყარებული ანლანდელი რეკორდი 52,84 წამია.

„კურვანში დასაბრუნებლად ას

მეტრზე ბატერფლაით კურვა იმისათვის ავირჩიე, რომ უზრუნველყო აქ ყველაზე მეტი შესაძლებლობები მაქვს.“ — განაცხობს მარკი.

ოლიმპიურ გუნდში მოხვედრისათვის, მოკლევადიან შესარჩევ შეჯიბრებაში, რომელიც თამაშების დაწყებამდე ნახევარი წლით ადრე ჩატარდება, არჩეულ დისტანციაზე სულ სულა მეორე ადგილი მიანიჭა უნდა დაიკავოს. სიმართლე რომ ითქვას, ეს ყველაფერი სარისკოა: ერთის მხრივ ასაკი, მეორის მხრივ სპორტული ბრძოლის ჩვევების დაქვეითება და დაკარგვა. მარკის ერთ-ერთი კოლეგის, 1984 წლის ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონის როულ ჰენისის ამგვარი ცდა მარცხით დამთავრდა, ოცდაცხრა

მეპარება, — ამბობს ექვსი ოთხიწი, — რომ თუკი მარკი მოინდომებს, თავისას მიიღწევს. ცხადია, ყოველგვარი საწვრთნელი ვარჯიშების განახლება ძალზე ძნელია. მაგრამ, თუ გულით გიყვარს კურვა, ადვილად შეიძლება წარმატების მოპოვება. საიდუმლოება კი იმაშია, რომ ისტატობა არ ბერდება. მე ვნახე, როგორ კურავს ახლა სპიტცი: ტექნიკის ხარჯზე წამსაც არ კარგავს“.

თვით ოთხიწი ამერიკის შეერთებული შტატების ვეტერან მოკურავეთა (იგი ოცდარვა ათას წევრს ითვლის) ასოციაციის წევრია. მასში 30-40 წლის ადამიანებთან ერთად ოთხმოცი წლისანებიც არიან გავრთიანებული. სხვათა შორის, ასოციაციის გამარჯვებულნი და რეკორდსმენნიც ჰყავს. მაგალითად, ვეტერანთა ბოლო ჩემპიონატში ოთხმოცი წლის მოკურავემ 100 მეტრზე ბატერფლაით კურვანში 1 წუთი და 15,75 წამი აჩვენა, რაც 55-58 წ. ასაკის ჩაუფხისთვის მსოფლიო რეკორდია.

მარკს კარგად ესმის მიზნად დასახული ამოცანის სირთულე. ამჟამად მისი საწვრთნელი ბილიკის სიგრძემ, რომელშიც წინა წლების მონაცემებიც არის ჩართული, 42 ათასი კილომეტრს გადააჭარბა. გაუნლებელი და, დამლული ვარჯიშები დროდადრო შეესხნენ ხოლმე ზურგის ტკივილს.

„ერთხელ ტელენტერგუს დროს ამტკივდა, როცა წამყვანის თხოვნით გვარიანად გაღიმებული ხელის ქნევით ვესალმებოდი მაყურებელს, — საყვილურით თქვა სპიტცმა, — მერე ჩანაწერი ვნახე და ისეთი შთაბეჭდილება დამჩნა, თითქოსდა იმ დროს ვიოცამ დანა დამაჩრტყა... მიუხედავად ამისა, დაბრუნების დიდი და საუკეთესო ფორმის აღდგენის უნარი შემწყვეს, — ჯიუტად ამბობს იგი. — ამაში დამეხმარებინა წვრთნის თანამედროვე მეთოდები, სპორტული მედიცინის უკანასკნელი მიღწევები. ამის გარდა, საკუთარ თავს მუდმივ კონტროლს ვუწევ, არ დამეკარგავს სისწრაფე. ახლა ყოველდღიურ დამაბულ წვრთნას უნდა შევუდგე, ძირითადად ტრენაჟორებითა და შტანგით“.

სპიტცის მთავარი ოცნება ოლიმპიური „ოქრო“ არ გახლავთ.

„ძირითადად მსურს დავამტკიცო, რომ დიდ სპორტში გამარჯვება ორმოცი წლის ასაკშიც შეიძლება. თუ ამას მივაღწევ, ბედნიერი ვიქნები, უფრო ბედნიერი, ვიდრე მიუნხენში მოპოვებული დიდების მერე, — და მოულოდნელად დაამატა: ძალზე მინდა კოსმოსური ხომალდით დედამიწას შემოვუფრინო საათნახევარში. საყურადღებოა, რომ მეგობრების აზრით ჩემთვის „შატლის“ კაბინაში მოხვედრა უფრო რეალურია, ვიდრე ბარსელონის ოლიმპიადში მონაწილეობა.

ვენახით. სანამდე დადებულია; არც ლოდინი მოგეწყევს დიდხანს“

მთავალია ბელა ჯილავრამ.

# ჩვენი კვლევა ნაცნობები

დღეს პარიზის მახლობლად ქალაქ სენ-დენის გაიმართა საფრანგეთის დედაქალაქის დიდი პრიზის გათამაშება სატრეკო ველოსპორტში, რომელიც ამავე დროს, მსოფლიო თამის ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენს.

ამ შეჯიბრებას წინ უძღოდა სპრინტერთა საერთაშორისო შეჯიბრება ე. წ. ლი პროგრამით, რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვთ, როგორც პროფესიულ, ისე მოყვარულ ველოსპორტისტებს. ვაჟთა სპრინტერულ რბოლის ფავორიტებად ითვლებოდნენ თბილისელთაგან კარგად ცნობილი გდრ-ის სპორტსმენები. და მართლაც, სამივე სპორტის ადგილი მათ ხვდათ წილად.

გამარჯვება მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონმა ბილ ჰუკმა, მეორე ადგილზე გავდა პროფესიონალებში გდასული მიხაელ ჰუბნერი, მესამე კი იყო იენს ფილდერი, ველოსპორტისტი, რომელმაც წლეულს, მისში საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზი მოიგო.

სპრინტერ ქალთა შორის გამარჯვება მოიპოვა ტუულუმა ოლაგრიშინამ.

# ნაბ-ს ჩემპიონი

**ნიუ-იორკი.** „დეტროიტ პისტონსის კალათბურთელებმა შეინარჩუნეს ნაბ-ს პროფესიული ლიგის ჩემპიონის ტიტული. ფინალური სერიის მეხუთე მატჩი დეტროიტელებმა მეტოქის მოედანზე მოიგეს (92:90) და ვადამდე გაიზარდა საერთო გამარჯვება — 4:1.

# „სპორტპროგნოზი“

28-ი თბრამის შედეგები (8-10 ივნისი)

1-X, 2-1, 3-2, 4-2, 5-1, 6-2, 7-2, 8-1, 9-1, 10-1, 11-1, 12-1, 13-1.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი  
თ. ბაჩჩინაძე